"სსრ კავშირის თასზე"

"სსრ კავშირის თასის" გათამაშებაში თბილისის "დინამო" და მოსკოვის "სპარტაკი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ბრძოლა ყოველთვის დაძაბული და თანაბარი იყო. მე–4 შეხვედრა, რომელიც 15 ოქტომბერს ჩატარდა, მეტად საინტერესო გამოდგა.

პირველი ტაიმის მე–15 წუთზე ძიაპშბამ ღიად დარჩენილ კარიდან ხელით გამოიტანა ბურთი და მოსკოველმა კონევმა თბილისელთა კარში თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. ამ წუთიდან თამაშის დამთავრებამდე ინიციატივა თბილისელთა ხელთ იყო. ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ მოსკოველთა კარს, მაგრამ არაზუსტი დარტყმების შედეგად ანგარიში არ იცვლებოდა.

მატჩის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როდესაც "სპარტაკის" კართან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ თბილისელებმა ბურთი გაიტანეს. მსაჯმა მორგუნოვმა იგი ჩათვალა, მაგრამ გვერდითი მსაჯთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტილება შესცვალა და კორნერი დანიშნა...

ამრიგად ამ მატჩიდან "სპარტაკი" გამოვიდა გამარჯვებული (1:0).

ახ. კომუნისტი 19 ოქტომბერი 1948 წ.